კლასის დამრიგებლისა და საგნის მასწავლებლის ურთიერთობის ფორმები

თანამედროვე განათლების ინოვაციები საგნის მასწავლებლებთან ერთად კლასის დამრიგებლებისგანაც მოითხოვს შემოქმედებით საქმიანობას. ეს საქმიანობა გულისხმობს ერთის მხრივ, მოსწავლეებთან აღზრდაზე ორიენტირებული თანამშრომლობითი ურთიერთობის დამყარებას, რომელიც ხელს შეუწყობს კლასს სასკოლო სივრცეში დასახული მიზნების დაძლევაში და მეორეს მხრივ, თანამშრომლობას კოლეგებთან (საგნის მასწავლებლებთან), მშობლებთან, თემთან...

უკავშირდება რა მოსწავლის ინიციაციას (საამისო მოტივაციის წინწამოწევას), კლასის დამრიგებლის საქმიანობის ძირითადი დანიშნულებაა აღმზრდელობითი საქმიანობა, რომელიც თავის მხრივ საკმაოდ მრავალმხრივია და სხვადასხვა კომპონენტებს მოიცავს. ესგ-ში განსაზღვრულია პრინციპები, რომელსაც სადამრიგებლო საქმიანობა ემყარება:

,,ა) სრულფასოვანი აღზრდა - სააღმზრდელო მუშაობა მიმართული უნდა იყოს პიროვნების ფიზიკური, კოგნიტური (შემეცნებითი) და ემოციურ-სოციალური განვითარებისაკენ;

ბ) მოსწავლის შესაძლებლობების გამოვლენა - დამრიგებლის ფუნქციაა მოსწავლის პოტენციური ძალების ამოქმედება და მათი ნიჭისა და შესაძლებლობების გამოვლენისათვის სათანადო პირობების შექმნა;

გ) მოსწავლეებში პასუხისმგებლობისა და ვალდებულების გრძნობის განვითარება - დამრიგებელმა მოსწავლეთა ჩართულობის ხელშესაწყობად საშუალება უნდა მისცეს მათ მონაწილეობა მიიღონ აქტივობების (ზეიმები, ლაშქრობები, ექსკურსიები და სხვ.) დაგეგმვასა და ამ დროს წამოჭრილი პრობლემების მოგვარებაში. დამრიგებელმა მაქსიმალურად უნდა გაითვალისწინოს მოსწავლეთა ინტერესები;

დ) თანამშრომლობის პრინციპი – დამრიგებლის ურთიერთობა მოსწავლეებთან უნდა ემყარებოდეს თანამშრომლობას, ურთიერთპატივისცემასა და ურთიერთნდობას.

ე) საჯარო სკოლის დამრიგებელმა მუშაობის პროცესში უნდა გამოიყენოს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს (შემდგომში - სამინისტრო) და საჯარო სამართლის იურიდიული პირების მიერ შემუშავებული და/ან რეკომენდებული შესაბამისი მეთოდური სახელმძღვანელოები და გზამკვლევები.

ამ დავალებების შესრულება კლასის დამრიგებლის მხრიდან მთელი რიგი პედაგოგიური ამოცანების გადაწყვეტას გულისხმობს:

- მოსწავლეთა აღზრდას; კლასის მასწავლებლებთან მუშაობას; მშობლებთან მუდმივ კავშირს; ბაზისური (შრომითი, საგნობრივი..) უნარ-ჩვევების ავტომატიზებას; ანალიტიკურ-რეფლექსიური ხასიათის დავალებების შესრულებას (მთელი პედაგოგიური პროცესის ანალიზი და რეფლექსია, მისი ელემენტების, სიძნელეების და ა.შ. გათვალისწინება); კონსტრუქციული და დიაგნოსტიკური საქმიანობის წარმართვას (მთლიან პედაგოგიურ პროცესთან შესაბამისობას, პედაგოგიური გადაწყვეტილებების მიღებას და შესრულებას, შედეგების პროგნოზირებას); ორგანიზაციული (სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის სხვადასხვა ვარიანტები, პედაგოგიური ამოცანების სხვადასხვა სახე) და საინფორმაციო ხასიათის დავალებებს (ინფორმაციის შეკრება, გადამუშავება და დაცვა პედაგოგიური პროცესის პერსპექტივების გათვალისწინებით, მისი ობიექტური შეფასება); კორექციული ხასიათის ამოცანების გადაჭრას, ამ საქმისთვის აუცილებელი კომუნიკაციური კავშირების დადგენას, მისი რეგულაციების და მხარდაჭერის უზრუნველყოფას.



ეს ჩამონათვალი ხაზგასმით მიუთითებს კლასის დამრიგებლის განსაკუთრებული თანამშრომლობის აუცილებლობას საგნის მასწავლებლებთან. ეს ორმხრივად საინტერესო საქმიანობაა, რამდენადაც მასწავლებელი დაინტერესებულია თავისი საგნის სწავლებით და მის მიმართ ინტერესის გაზრდით, პრესტიჟის ამაღლებით. დამრიგებელთან ერთად საინტერესო და სახალისო ფორმით ღონისძიებების დაგეგმვა და ჩატარება კი თანაბრად შეუწყობს ხელს საგანმანათლებლო და აღმზრდელობით საკითხებს.

კლასის დამრიგებელი და მასწავლებელი/მასწავლებლები წინასწარ უნდა შეთანხმდნენ ერთობლივი აქტივობების ჩასატარებლად ფუნქცია-მოვალეობების გადანაწილებაზე, შეიმუშაონ ერთობლივი გეგმა, შეარჩიონ სტრატეგიები და მეთოდები, რომელიც შედეგზე გასვლაში დაეხმარებათ.

ურთიერთობის ასეთი ფორმა შეიძლება გამოიხატოს:

- **კონკრეტულ საგანში** მრავალფეროვანი ღონისძიებების, კონკურსების და ღია გაკვეთილების ჩატარებაში, სადაც ერთად შერჩეული მასალა, მასწავლებლის მიერ თითოეული მოსწავლის როლის გამოკვეთა მოსწავლის შესაძლებლობების და ინტერესების მაქსიმალური გათვალისწინებით, დამრიგებლის ზრუნვა ორგანიზაციულ მხარეზე და მოსწავლეთა ჯგუფურ მუშაობაზე, უზრუნველყოფს ღონისძიების მაღალ დონეზე ჩატარებას;

- **შესაძლებელია კომპლექსური ღონისძიების დაგეგმვაც,** კლასის საათის ერთობლივად ჩატარება, რომელიც მრავალმხრივად, სხვადასხვა მიმართულებით შეუწყობს ხელს კლასის დამრიგებლის ფუნქციების შესრულებას და პედაგოგიური მიზნების მიღწევას.

ასეთად შეიძლება განვიხილოთ ისეთი ფორმის საქმიანობა, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლეებში: ტოლერანტული თვისებების, კომუნიკაციური კულტურის, მოვალეობის, სამართლიანობის, უფროსი თაობის პატივისცემის, პიროვნების, ოჯახის, ქვეყნის, მეზობლებთან ურთიერთობის ქცევის ნორმების გაცნობა-შესრულებას და აღმზრდელობითი და სასწავლო ამოცანების გადაწყვეტას. მაგალითად:

- კლასის საათი ინტერვიუს ფორმით;

- მულტიკულტურული განათლების ვარიაციები, რომელიც სხვადასხვა ტექნოლოგიით იქნება წარმართული (მაგალითად, გამოიყენებენ ტექნოლოგია „OPEN SPACE“, ფასილიტაციის სხვადასხვა მოდელებს („მსოფლიო კაფე" - ს /The World Cafe);

- მარტივი ტიპის სასკოლო მხარეთმცოდნეობითი საქმიანობის წარმართვა;

- მუზეუმი-შეხვედრების ორგანიზება;

- კლასის საათის ჩატარება თემაზე: „პრაქტიკული მათემატიკა და ყოფა-ცხოვრება“; „ჩვენ და გარემო“; „გლობალური პრობლემები“;

და ა.შ.

ასეთი საქმიანობა აჩვევს მოსწავლეებს ჯგუფურ მუშაობას, სხვისი ინტერესების გათვალისწინებას, სხვისი წარმატების სიხარულის გაზიარებას, პასუხისმგებლობას.

თითოეული **ასეთი აქტივობის დაგეგმვისას მნიშვნელოვანია თვითანალიზის სქემის შედგენაც,** რომელშიც გამოიკვეთება კლასის დამრიგებლის სამუშაო პროცესის ცალკეული ასპექტები, მაგალითად:

- რა აღმზრდელობით, საგანმანათლებლო და განმავითარებელ მიზნებს მივაღწიეთ? რომელი იყო მათ შორის უმთავრესი და რატომ? როგორი იყო ურთიერთკავშირი? როგორი იყო სამუშაოს სპეციფიკა? როგორ იყო განაწილებული მოსწავლეთა ჩართულობა? როგორ შეესაბამებოდა ერთმანეთს სასწავლო და აღმზრდელობითი ამოცანები? რამდენად სწორად ყო შერჩეული მეთოდები? რა უპირატესი მნიშნელობა აქვს აღნიშნული ფორმის გამოყენებას? შესრულდა თუ არა დასახული მიზანი და რა არგუმენტები გვაქვს დასტურად? რა ცვლილებებია აუცილებელი მსგავსი ღონისძიების მომზადებისთვის და ჩატარებისთვის? და სხვ.

საგნის მასწავლებლის და კლასის დამრიგებლის ასეთი საქმიანობა ეფექტურია სასწავლო ამოცანების შესრულებისთვის, ხელს უწობს თანამედროვე ეტაპზე ძალზედ მნიშვნელოვანი არაფორმალური განათლების როლის ამაღლებას, ინდივიდუალური და სოციალური განათლების ნებისმიერი პროგრამის წარმატებას, რომელიც არ არის ოფიციალური სასწავლო პროგრამების ნაწილი და რომელიც მიზნად ისახავს ცოდნის, უნარ-ჩვევებისა და კომპეტენციების გაუმჯობესებას. საბოლოო ჯამში კი მიიღწევა ის მიზნები, რასაც კლასის დამრიგებლის წინაშე სახავს ესგ.

მაია ფირჩხაძე

იტალიური სკოლის პედაგოგი